



ახალი

„მედნიერია ის, ვისაჲ სამშობლოსათვის უძვერს გული.“

# განთიადი



„განთიად შინაშინო სინსა ჩაჲსა. განთიად ნარკვაჲ შენა და გარჲანო შენ.“

2023 წელი 31 აგვისტო №8 (8195) ელფოსა AxaliGantiadi@gmail.com



სააკაჲის ქუჩაჲა ასფალტის მეორე ფენის დაგების სამუშაოები მიმდინარეობს

გვ2. **ჩინების მოწყობის სამუშაოები**

გვ2. **საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა გრძელდება**



ახალი სკორტული მოედანი



გვ 6. **შეკრება ბაკურიანში**



გვ2. **2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან 15 წელი გავიდა**

გვ2. **სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში**



ჩვენი პროექტი „საზაფხულო ბანაკი“

გვ4. **სასოფლო კლუბის სხანაჲ**

გვ4-5. **გორბასლის ქუჩაჲა**

ყვანის მუნიციპალიტეტის ცენტრის ცოცხალი წიყყა

გვ8. **გორბასლის ქუჩაჲა**

გვ2. **ქართული სოფელი - დაღაბოძი ჭილაობისა**

გვ2. **დაბა ბაკურიანში, პირველი ინოვაციური ბანაკი**



გვ3. **ქასის კოლეჯი - უმოკლესი გზა დასაქმებად!**

გვ3. **წინარების ადვინისტრაციულ ერთეულში**

გვ5. **სკენებური პრესტიჲი**

გვ7. **სანერტნელ-გამაჯანსაღებელი 10-ღღიანი შეკრება ბაკურიანში**



გვ7. **ქასი: „გორკა — 2023“**

გვ7. **რაჲა ოსნებობს ტრიუმფატორი?**



გვ6. **ს ც უ მ რ ა დ მ ა კ ნ ა ც უ ნ ა ს თ ა ნ**

გვ2. **გაზეთში არისწროს ლერიღებს ღირთ**



2008 წლის რუსეთ-საქართველოს  
ომიდან 15 წელი გავიდა

კასპის მუნიციპალიტეტში 2008 წლის აგვისტოს ომის გმირები გაიხსენეს.

გელა თიგიშვილი, სოსო ბეჟუაშვილი და მფრინავი ალბერტ ბალხამიშვილი. კასპის დაბომბვი-

თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი ყოფილ მებრძოლებთან ერთად, სოფელ ალაიანში სოსო



ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილეებმა კასპში გვირგვინით შეამკეს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალი და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს.

მამა ალექსანდრემ გმირთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

ომმა 400-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. კასპიდან 4, მათ შორის 3 მებრძოლი

სას რკინიგზის მეისრე მურაზ მურუბაშვილი, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა.

მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს

ბეჟუაშვილის, სოფელ ბოჟაშვილი ალბერტ ბალხამიშვილისა და სოფელ კოდისწყაროში გელა თიგიშვილის საფლავებს ეწვივნენ.

კოპაძემ გააცვიფრეს.

ბანაკში ყოფნისას მონაწილეები გაივლიან მნიშვნელოვან საკითხებს ტექნოლოგიებში. გაიმართება შესვენებები ტექნოლოგიურ სტარტაპებთან.

ბანაკი ორგანიზებულია კასპის ტექნოპარკისა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ფონდის მიერ.

პროექტი თანადაფინანსებულია კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. ახალგაზრდები სამოტივაციო წერილის კონკურსის საფუძველზე შეირჩნენ.

გაფართოების სამუშაოები 22 სოფელში დაიგეგმა.

სამუშაოები ბევრ სოფელში უკვე დასრულებულია, ზოგში კი მიმდინარეობს.

გარე განათების ქსელის მოწყობა ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

ჩატარებული სამუშაოები ღამის საათებში მოქალაქეების გზაზე გადაადგილების შესაძლებლობას გააუმჯობესებს.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

დაბა ბაკურიანში,  
პირველ ინოვაციურ ბანაკში



კასპის მუნიციპალიტეტიდან დაბა ბაკურიანში, პირველ ინოვაციურ ბანაკში 13 ახალგაზრდა გაემგზავრა.

ბანაკის მონაწილეები კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და მერიის მოადგილემ ზურაბ

“სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში



კასპის მუნიციპალიტეტში “სოფლის მხარდაჭერის პროგრამის”

ფარგლებში, გარე განათების ქსელის მოწყობისა და არსებულის

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა გრძელდება

საკაპის ქუჩაზე დასრულებულ და მიმდინარე სამუშაოებს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი ადგილზე გაეცნენ.

ქუჩაზე უკვე მოეწყო რკინა-ბეტონის კიუვეტები, ეზოში შესასვლელი და საფენმაგლოები. 587 გრძივ მეტრ ქუჩაზე, სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს “ჩაგელა” ახორციელებს. სამუშაოები რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და

სააკაპის ქუჩაზე ასფალტის  
ემორა ფენის დაგების  
სამუშაოები მიმდინარეობს



ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით 577 776 ლარის ფარგლებში ხორციელდება.

ქუჩის აღნიშნული მონაკვეთი ასფალტირებული არასოდეს ყოფილა, ორფენიანი ასფალტის დაგების შემდეგ ადგილობრივი მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურით შეძლებენ სარგებლობას.

გორგასლის ქუჩაზე

გორგასლის ქუჩაზე ასფალტის საფარის მეორე ფენის დაგების მიმდინარე სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, მერიის მოადგილე ზურაბ კოპაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი ადგილზე გაეცნენ.

1003 გრძივი მეტრი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს “ენდროუდი” ახორციელებს, რომლის ღირებულებაც 758 737 ლარს შეადგენს.

პროექტი რეგიონული განვითარების ფონდისა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუ-



ჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

ვახტანგ მაისურაძის თქმით, გორგასლის ქუჩაზე ასფალტის საფარი აქამდე არასდროს ყოფილა და პროექტის

დასრულების შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობა გადაადგილებას მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურით შეძლებს.

ჩინების მოწყობის სამუშაოები

კასპში, ნინოშვილის ქუჩის და კოსტავას ქუჩიდან მერიის შენობის მიმდებარე ჩასასვლელი ჩინების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

აღნიშნულ სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ

მაისურაძე და მერიის პირველი მოადგილე დავით ქისიშვილი ადგილზე გაეცნენ.

ჩასასვლელი ჩინების მოწყობის სამუ-

შაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს “ბინი” აწარმოებს. პროექტი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 88 777 ლარით ფინანსდება.

ამჟამად არმირებული ბეტონის სამუშაოები მიმდინარეობს, შემდეგ მასზე საფენმაგლო ბილიკი, ჩასასვლელი კიბეები და მოავირები მოეწყობა. პროექტის დასრულების შემდეგ დამრეცი ჩინები, რომელიც მოქალაქეებისთვის დღემდე გადაადგილებისთვის საფრთხის შემცველი იყო, მალე კომფორტული გახდება.



გახდით სვინი მკითხველი!  
გამოიწვიეთ “ახალი განთიადი”!





(დასასრული. დასაწყისი გვ4.) მოდიის!.. დღეს კინო იქნება!

აბა, რად უნდოდათ კინოაფიშა, თუნდაც ხელით დახატული და სოფლის ცენტრში გამოკრული, გახარებულ პატარებს. ისინი მალე იმასაც შეიტყობდნენ, სოფლის კლუბში კინომექანიკოსი ალექსანდრე ფილმის "ლენტებს" დაახვევდა და დაატრიალებდა, მერე ფილმის სათაურს შინაურებსაც შეატყობინებდნენ, უფროსთა უმეტესობა საბაღე თუ საშინაო საქმეს დაემუშავებდა, მოსალამობებულზე ნაჩქარევად აიშაბაშებდა, დედაბრები თუ ახალი პატარძლები კაბის გადაცმასაც მოასწრებდნენ, ხანდახან კაცები - უღვაშების გადაწყვეტასაც, როგორც უწინ, ჯეილობა-ჭაბუკობაში... აი, მაშინ კი, "მეხანიკი" ალექსანდრე ფილმის ჯადოსნური ოთახის ორი პატარა სარკმლიდან როცა გამოანათებდა ჰაერში მოლივლივე ნათლისვეტები, გადავსებულ დარბაზში მყურებულთა ზურგებსა და თავებს ზემოდან გადასერავდა და თეთრ ეკრანზე გამოსახულებულ გარდასახებულა, დიდ-პატარას საერთო სიამე დაეუფლებოდა.

კინოფირი ძველი იყო და გაწყდებოდა? - ალექსანდრე პაპამ საამისო ხერხიც იცოდა, მალე ჩააცხრობდა დარბაზში ატეხილ სტვენასა და ფეხებბრახუნს, როგორ? - მეუღლეს, რომელიც სიანის ბილეთებს ყიდოდა, ხოლმე და მუდამ დარბაზის შესასვლელ-გასასვლელ კართან ტრიალებდა, შინიდან საგანგებოდ წამოღებულ მანიკურის ბოთლს გამოართმევდა, ფირის გაწყვეტილ ბოლოებს გადაუსმევდა (მანიკურის ხსნარი აცეტონის შემცველია), ერთმანეთზე დაადებდა და... მორჩა კინო! შვებით მაშინ ამოისუნთქავდა, ეკრანზე როცა დაეწერებოდა: "ფილმის დასასრული".

მერე და მერე, სხვადასხვა პერიოდში, ქვემო გომის კლუბში კინომექანიკოსებად აბეწვამვილები იყვნენ - მალხაზი (იგივე "ფაშას ბიჭი") და ანდრია ("ტალიას ბიჭი").

\*\*\*  
მაშინაც კი, როცა სოფლის მოსახლეობას ძალიან უჭირდა - განსაკუთრებით გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში - კლუბი რჩებოდა იმ გასართობ თუ შვების-მომგვრელ კერადა და ალაგად, სადაც ქვემო-ომელებს შეეძლოთ საკუთარი სამუსიკო ძალებით ჩატარებინათ კონცერტი და შემოსული თანხა ისევ კლუბის საჭიროებისათვის მოეხმარებინათ; ხელი გაეშალათ და სარემონტო სამუშაოც შეესრულებინათ უსასყიდლოდ...

აბა, ზურაბ რევაზიშვილი (იგივე "ლომანთ ზურია") რატომ არ დაიკაბიწებდა მარჯვენას და კლუბის დარბაზის ჭერში, რემონტის დროს, რატომ არ გაჭიმავდა წნენამჯის ("პრესის") თოკს?! მისი ნახელავი ორიგინალურიც გამოვიდა და ეკონომიურიც, ლამაზიცა და ხანგამძლეც! კლუბთან არსებულ ბიბლიოთეკაში ხომ წლების განმავლობაში მუშაობდა ვენერა რევაზიშვილი, მისი გვარის ქალბატონი და ახლობელი.

აბა, როგორ არ გავიხსენოთ სულ ორიოდ წლის წინ გარდაცვლილი დურმიშანი (დურო) როსებაშვილი, ვეტერანი გვარდიელი, მებრძოლი და მუსიკოსი კასპის ბატალიონიდან, რომელმაც უშუქობა-უგაზობის 90-ანი წლების პერიოდში ერთი შეუძახა მეგობარ მომღერალ-მუსიკოსებს, - ქვემო გომის კლუბის სცენაზე, მოდი, კარგი კონცერტი გავმართოთ, ჩემებურებს გული გავუხალისოთ! ოღონდ, ერთი პირობით, ბილეთები უნდა გავყიდო!

- კაცო, ეგ როგორ იქნება, სოფელს ლუკმა-პური უჭირს, შენ ბილეთს ვინ შეიძენს, როცა

საკვები ურჩევნიაო? - გაიკვირვებს თურმე სხვებმა.

დურომ, - ეგ ამბავი ჩემს კისერზე იყოსო! - საქმე ისე გააწყობ, როგორც მას სურდა. უფრო სწორედ, როგორც სოფელს სჭირდებოდა! ის კონცერტი დღემდე ახსოვთ ქვემო-ომელებს, რადგანაც მცირე-მცირე წილით საერთო ყულაბაში გვარიანი თანხა შეგროვდა, იმ ფულით დიხელის საწვავი შეიძინეს სოფლის საერთო "დვიჟოკი-სათვის", ელექტროდენი კი კლუბსაც მიეწოდა და მოსახლეობის გვარიან ნაწილსაც.

\*\*\*  
თავისი სოფლის კლუბის წარსულიდან ზემოთ მოთხრობილი ამბები გაიხსენა ქვემო-ომელებმა ხელოვანმა და მუსიკოს-შემსრულებელმა, ვარსკვლავოსანი ანსამბლი "მოურავის" წევრმა, ამჟამად კასპის ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კულტურის ცენტრის მენეჯერმა მიხეილ ქოსაშვილმა. ადრე, როცა მუნიციპალურ კულტურის უწყებებთან გაერთიანებას ხელმძღვანელობდა, მანაც არაერთხელ გაუწოდა დახმარების ხელი ან-დამატურ დაწესებულებას, რომლის სცენაზე იმდერა და დაუკრა პირველად.

\*\*\*  
აი, კიდევ ერთი აქაური მიწა-წყლის შვილის ტკბილი მცირე მოგონება, რომელსაც სასოფლო კლუბის სცენის ბავშვობისდროინდელი ხიბლი აქამდე არ განუღებია.

ქეთევან გორგაძე - კასპელი პენსიონერი ქალბატონი (გასული საუკუნის 80-ანი წლებში მუშაობდა კასპელ მეცემენტოთა კულტსახლის დირექტორის მოადგილედ):

- პირველი, ვინც ჩემი სოფლის კლუბის გამგეთაგან მახსოვს, გრამიტონ მამულაშვილი იყო, ის წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა კლუბს. მართალია, სოფლის კლუბი იყო, მაგრამ მაშინ გამართულ ღონისძიებებს

სათვალავი არ ჰქონდა. რა დამავიწყებს ასეთ შემთხვევას: სოფლის სცენისმოყვარულმა ახალგაზრდებმა ადგილობრივი ძალებით "ხევისბერი გონა" წარმოადგინეს სცენაზე. ჩემი მამიდაშვილი კახი ორბელაშვილი გამოდიოდა ონისეს როლში. ხევისბერმა მე მართალი მეგონა და დარბაზში ტირილი ამივარდა, ძლივს დამაწყნარეს... გრამიტონი შემდგომში შეცვალა ქალბატონმა - მარგალიტა მარიდაშვილმა. კლუბში ძირითადად საზეიმო სხდომები იმართებოდა, აქვე ტარდებოდა საარჩევნო კამპანიები. ამის გარდა, საშუალო სკოლაც ხშირად იყენებდა კლუბის სცენას და საბავშვო წარმოდგენებს მართავდა. მახსოვს, მშობლიური ლიტერატურის მასწავლებელმა ნიფადორა ნადარეიშვილმა დაგვადგმევინა პატარა სპექტაკლი "ციცქნა იას დღეობა" და მასში ჯეჯილი ვიყავი.

\*\*\*  
თამარ ბერიკიშვილი - სოფელ ქვემო გომის კლუბის გამგე (2017 წლის იანვრიდან) - თბილისის დავით გურამიშვილის სახელობის სახელმწიფო უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებული:

- ჩემი ნაცნობობა და ახლობლობა ქვემო გომის კლუბთან ძალიან უცნაურად დაიწყო, შეიძლება ითქვას, შემთხვევითობის წყალობით. მე აქაური არა ვარ, დავიბადე და გავიზარდე სოფელ კავთისხევში. იქ სიმღერის გუნდში დავდიოდი, როგორც სხვა გოგო-ბიჭები. ნანა შალიტაური იყო ჩემი მასწავლებელი. ის დღემდე ამეცადინებს ჩემი სოფლის ბავშვებს სიმღერასა და დაკვრაში, ამიტომ ის ჩემთვის რჩება მისაბამ პედაგოგად...

და, აი, ერთხელ, როცა 13 წლისა ვიყავი, ნანა მასწავლებელმა კავთისხევიდან სხვა სოფელში წაგვიყვანა. ეს იყო

# სიყვარული და მისი

ქვემო გომი და მისი კლუბი, რომელიც ჩვენსას ჰგავდა და არც ჰგავდა. იქ გამართულ კონცერტში სხვა სოფლებიდანაც მონაწილეობდნენ მოსწავლეთა გუნდები. ასეთი გასვლითი პროგრამები სხვაგანაც გვქონია, მაგრამ ქვემო გომში პირველი სტუმრობა სულ სხვანაირად დამამახსოვრდა, თუმცა, აბა, მაშინ, ჯერაც ბავშვი რას წარმოვიდგენდი, რომ რაღაც ათიოდე წლის შემდეგ საკუთარი ბები იქ საცხოვრებლად გადამისროდა და ქვემო-ომელები ნიზანაშვილების ოჯახის რძალი გავხდებოდი, ჩემი გოგონები სწორედ იმ კლუბის კედლებში გაიზრდებოდნენ, რომლის სცენაზე 13 წლისამ ვიმღერე, მერე კი თვითონვე გავხდებოდი კლუბისა და სცენის მთავარი "დასახლისი"... მსგავს შემთხვევებზე თუ უთქვამთ ჩვენ ძველებს, - სადაც არის ბები შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო!

საქმე ისაა, რომ წმინდა ოჯახური, რძალ-დედამთილური ურთიერთობა და დამოკიდებულება ჰქონდათ ამ ადგილზე ჩემამდე მომუშავე კოლეგა-გამგებებს - მარგო მარიდაშვილსა და ნელი გერმისაშვილს. პირველი მათგანი 1970 წლიდან გამგეობდა, 1998 წლიდან კი საკუთარმა რძალმა ჩაანაცვლა. მანაც ღირსეულად გააგრძელა დედამთილის სამსახურებრივი ადგილმონაცვლის მოვალეობანი. კლუბი მისთვისაც ნამდვილ ოჯახს წარმოადგენდა, "მეორე სახლშიც" უმურველად იხარჯებოდა, მომწონდა ქალბატონი ნელის არაჩვეულებრივი ადამიანობა, სიკეთე და სითბო, რასაც თანამშრომლებსა და პატარებს უნაწილებდა და ჩვენთან, სხვადასხვა წრეში მომეცადინებავშვების მშობლების მიმართ იჩენდა. მაშინ ბავშვი ქორეოგრაფის წრეში

დამყავდა და დამიხსლოვა, გულის კარი გამიხსნა. მეც ყოველნაირად ვცდილობდი მის გვერდში დგომას, სხვადასხვა ღონისძიებებში ხელშეწყობას, ყოველდღე მირეკავდა და მელაპარაკებოდა... 2016 წლის დეკემბერში, გარდაცვალებამდე ორიოდ დღით ადრე, დამიბარა და მითხრა: თამუნა, შენ ჩემს "მშობლებში" განსაკუთრებული ხარ... კლუბი შენ უნდა ჩაიბარო"...



ჰოდა, მას შემდეგ ვცდილობ, წინამორბედის ნდობა გავამართლო. ხშირად ვვიქრობ, ახლა რომ ცოცხალი იყოს, ნეტა, როგორი შემფასებელი იქნებოდა ჩემი მუშაობისა?!



... მსურს, მღელიერებით გავიხსენო ყოფილი თანამშრომლები: მარგო მარიდაშვილის დროს



მოცეკვავეებს თინა მარიდაშვილი ასწავლიდა, სალამურ-ფანდურზე დაკვრის მსურველებს - სერგო ნინოშვილი, ფორტეპიანოს ჯგუფს

ანა ნაცვალაშვილი უძღვებოდა, ჭრა-კერვასა და ქარვისას კი ლამარა ხიზანიშვილი; ნელი გერმისაშვილის დროს ცეკვის წრის პედაგოგი თინა მარიდაშვილი თამარ მამულაშვილმა ჩაანაცვლა;

სადღეისოდ საკლუბო-სასცენო წრეებს ხელმძღვანელობენ: სათუნა გაგაძე (ცეკვა), მარიკა ჯავახიშვილი (ფანდური), მანანა ხიზანიშვილი (ხელოვნება).

გვაქვს სასიამოვნო სიახლე: მიმდინარე წლის გაზაფხულიდან გიტ-არაზე დაკვრასა და ვოკალში ამეცადინებს საქართველოში ცნო-

ბილი ახალგაზრდა კომპოზიტორი კობა კრიჭაშვილი, რომელიც საცხოვრებლად და სამუშაოდ მშობლიურ მხარეში დაბრუნდა (მან სოფელ ნიბში, მამა-პაპულ კერაზე

დააფუძნა ხმისჩამწერი სტუდია).

წარმატებები ჩვენს ყველა პედაგოგს და მათ შეგიძლებს!

ქართული სოფელი - დედაბოძი ჭილაობისა

2023 წლის 28 ივლისს ლამისყანაში "ივლიტობასთან" დაკავშირებით, ახალი სასპორტო არენის საჭიდაო ნახერხიანი წრე დააჭამნიკეს ყმაწვილკაცმა და უფროსი ასაკის მოჭიდავეებმა: უმცროსებმა მუნიციპალური პირველობა გაათამაშეს 11 წონაში, დიდებმა კი 4-ში მოსინჯეს ძალები, ბოლოს მძიმეწონოსნებმა ფალავანიც გამოავლინეს.

ლა მის ყანელებს პირდაპირ უნდა ვუთხრათ: ყოჩაღ, თქვენეულ შემართებასა და ერთიანობას, შინდარჩენილთა და ემიგრაციული ჯგუფის ხელჩაკიდებულობას! მშვიდობასა და კეთილდღეობაში მოიხმარეთ და გამოიყენეთ ახალი საჭიდაო არენა! სოფლის სასპორტო ტრადიციების ერთგულობით თქვენ მისაბაძნი ხართ და ტოლი არ მოგეპოვებათ საკასპელის სოფლების ფარგლებში! აფერუმ, ქსნისპირელებო!

რამდენიმე წლის წინ ლამისყანაში "სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" მშენებური სასპორტო კომპლექსი მოეწყო. ვრცელი ტერიტორია მოსწორდა, შემოიღობა და მოინიშნა სათამაშო მოედნები ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთისათვის. გზისპირასვე, ზედ შესავლელთან, საჭიდაო მრგვალი წრეც გაჩნდა...

და, აი, მისთვის გადახურული, დარბაზული ტიპის, ობიექტის აგება უზრუნველყო კასპის მუნიციპალიტეტის მერიის თავკაცობამ. ფინანსური და საქმიანი თანადგომა უმთავრესია, მაგრამ ქების ღირსია სათანადო სამუშაოთა შემსრულებელიც. ესაა შპს "ქართული სახლი", რომლის ხელმძღვანელია ლამისყანელი ახალგაზრდა კაცი მამუკა იმერლიშვილი. იგი ამავგიმდებარე შვილია

მშობლიური სოფლისა. მისი შრომითი კოლექტივის ხელშეწყობისადგინებლია "ივლიტეს სალოცავი", სოფლის სკოლაში კი მოწყობილია "კომპიუტერული ცენტრის" ოთახი.

სამადლობელი და საქებარი ეკუთვნის თავისი სოფლის სასიკეთო საქმის კიდევ ერთ თანამდგომ კაცს - ხელოვან გელა ბენიშვილს: საჭიდაო არენისათვის მან უსასყიდლოდ დაამზადა და საჩუქრად გადასცა მემორიალური ორი დაფა.

გაგვიიშვიათდა სოფლის სახალხო-საეკლესიო დღესასწაულები და, ზედაც, ნუგზარადა და ფეშქაშად, ძველ ქართველთა წესისაჲებრ, ქართული ჭიდაობა - ჩვენში სპორტის სახეობათაგან ყველაზე ეროვნული, ტრადიციული, თანაც, მუსიკალურობის სარჩულ-საბურვლიანი, ურთიერთმძლე მორკინალთა წარმოჩენით, მაყურებლის ჩართულობით...

აი, ისინი, "ივლიტობა - 23"-ის შეჯიბრების მოთავეობორგანიზების ძველი, ნაცადი და ერთგული გუნდის თავკაცი და წევრები:

გიორგი (ტატა) რამაზაშვილი - საქართველოს ორგზის პრიზიორი ქართულ ჭიდაობაში (უფროსები) და ჩემპიონი სამბოში (ჭაბუკები) - ლეგენდარული ფალავანის, გოგლა რამაზაშვილის, შვილიშვილი, სოფელში მამა-პაპეულ ტრადიციულ სასპორტო საქმეთა გამგრძელებლად გამწესებული მეგობრებთანა და მოაზრებებთან ერთად;

ლერი (ნუკრი) ნავროზაშვილი - საქართველოს ჩემპიონი ყველა ასაკობრივ კატეგორიაში (ჭაბუკთა, ახალგაზრდათა, უფროსთა და ვეტერანთა შორის), საქართველოს სპარტაკიადის

ჩემპიონი და მეორე პრიზიორი, ქართულ ჭიდაობაში საქართველოს აბსოლუტური ფალავნობების ორგზის არბიტრი, თავდაცვითი ძალების ვეტერანი (მაიორი) - სამი ძმა ნავროზაშვილის (გიორგი, ნოდარ და თამაზი) ოჯახური საჭიდაო დინასტიური ესტაფეტის მტარებელი და ღირსეული წევრი;

ვეფხვი არაერთგზის ჩემპიონი ჭიდაობათა სახეობებში, ვეტ-



ერანი მოჭიდავე და მწვრთნელი;

გიგა ჭიხინაშვილი - თავის სოფელზე შეყვარებული და გულანთებული ახალგაზრდა.

აი, ესენი და მათდარნი არიან, ვინც დღეს სულს უბერავენ და აღვივებენ ძველდროების ლამისყანელი მოჭიდავეების სახელ(ე)ების ღადარსა და ნაცარს და აქნობამდე მოუტანიათ მათი ხსოვნისა და სულების ნეტარი სვეტი... ვინც წლიდან წლამდე, მოყოლებული 2015 წლიდან, უფრო და უფრო აფართოებენ სასოფლო ჭიდაობის ფარგლებს, როგორც მონაწილეთა, ისე მხარდამჭერთა მხრივ.

სახვალიოდაც, სამერმისოდაც შეძლებოდე!

\*\*\*

იცოდეთ და იცნობდეთ ლამისყანური წლებანდელი ფალავნობისა და საჭიდაო მთლიანი სანახაობის მხარდამჭერთა თანამდგომ ადამიანებს, უფრო მეტად საქართველოს საზღვრებშიღმა მცხოვრებ ლამისყანელთა საემიგრაციო წარმომადგენლობას, რომელთა ფინანსური შეწევნით წახალისდნენ ახალგაზნისი საჭიდაოს დამჭაშნიკე-

ბელთა საუკეთესო სამეულები:

გურამ ბენაშვილი - ღრმად სიმბოლურია, რომ 2022 წლის 27 ივლისს, ანუ, "ივლიტობის" წინა დღეს, მას მესამე შვილი შეეძინა და ბედნიერმა მამამ ლამისყანური ფუძიანობის ძეს სახელად "იაკობი" დაარქვა. დაე, ყველგან და ყოველთვის იაკობობდეს ჯერეთ პატარა ლამისყანელი!

შოთა აჯიაშვილი - დიდი ლამი-

ლოს ბილიარდის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (პრეზიდენტობის ორი ვადის გასვლის შემდგომ - საპატიო პრეზიდენტი). ის კის ჭეშმარიტი რაინდია, ვისაც სპორტის ეს სახეობა ჯერაც საბჭოური დროების



იატაკქვეშეთიდან დღემდე მოუტანია და ამჟამადაც მისი მსახურია. ეს ის კაცია, ვისაც იმდღევანდელი მრავალსაათიანი ჭიდაობიდან ფეხი არ მოუცვლია, ვინც უდიდესი მხარდამჭერია სოფლად ქართული ჭიდაობის ზეობისა. დაახ, წლებია, იგი ფინანსურად შემწეობს ლამისყანურ შეჯიბრებებს. ასე იყო აქამდე და ასე მოხდა ახლაც - მის მიერ დაწესებული უმთავრესი პრიზის (ცოცხალი ყოჩის) მფლობელი გახდა საქართველოს 2016 წლის აბსოლუტური ფალავანი გიორგი კაციაშვილი.

ბატონი დავით ალექსიძე 28 ივლისს იუბილარი გახლდათ. გაისად მას ეწ. "მრგვალი" თარიღი უსრულდება. ახლა ჯერი სოფლისა იქნება!

\*\*\*

ალსანიშნავია, რომ საფალავნო ოთხივე წონაში 80-მდე მოჭიდავემ იასპარეზა საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან, დაბიდანა და სოფლიდან: თბილისი, კასპი, რუსთავი, გორი, ხაშური, ქარელი, მცხეთა, თეთრიწყარო, ახალციხე, ზესტაფონი, საჩხერე... ლამისყანა, ალაიანი, ქვემო გომი, მეტეხი, ქვემო ჭალა, თელიანი, ქსოვრისი, კუმისი, რუისი, მუხრანი, წყნეთი...

\*\*\*

საფალავნო შეჯიბრების საპატიო კვარცხლბეკი, გეოგრაფიული არეალის მიხედვით, შემ-

დეგი მხარეების წარმომადგენლებმა გადაინაწილეს:

60 კილოგრამამდე კატეგორია: 1. თამაზ მღებრიშვილი (ქარელი), 2. გიორგი ჩილინდრიშვილი (ქსოვრისი), 3. ნიკა ხუნძაყიშვილი (კუმისი). მათ გადაეცათ ფულა-

დი ჯილდოები (500, 300 და 200 ლარი), რაც საგანგებოდ დააწესა ამური იაშვილი, ლამისყანელი ტრავიკულად დაღუპული ლევან ბენაშვილის (უმცროსი) თანაკლასელმა. დააჯილდოეს მამა-შვილმა გიორგი და თორნიკე რამაზაშვილებმა.

ლა მის ყანელებს პირდაპირ უნდა ვუთხრათ: ყოჩაღ, თქვენეულ შემართებასა და ერთიანობას, შინდარჩენილთა და ემიგრაციული ჯგუფის ხელჩაკიდებულობას! მშვიდობასა და კეთილდღეობაში მოიხმარეთ და გამოიყენეთ ახალი საჭიდაო არენა! სოფლის სასპორტო ტრადიციების ერთგულობით თქვენ მისაბაძნი ხართ და ტოლი არ მოგეპოვებათ საკასპელის სოფლების ფარგლებში! აფერუმ, ქსნისპირელებო!



წონის გამარჯვებულს, ასევე, გადაეცა ფასიანი საჩუქარი, რომელიც დააწესა ლერი ნავროზაშვილმა მოჭიდავე-ბიძის სახელობაზე.

70 კილოგრამამდე კატეგორია: პირველი ადგილი დაიკავა რუსთაველმა ელგუჯა ბარბაქაძემ, ხოლო მეორე-მესამეზე გავიდნენ გორელი გიგა გიუნაშვილი და გიორგი ტატულაშვილი. მათაც იგივე თანხა ერგოთ, ხოლო ჩემპიონს, დამატებით, ისევ ლერი ნავროზაშვილისაგან, ამჯერად მამის სახელობაზე დაწესებული ფასიანი საჩუქარი.

80-ის კატეგორიაში უძლიერესი აღმოჩნდნენ გორელი ვაჟა ავაზნიანი და გიორგი ბაზანდარაშვილი, ასევე, ქარელი ეს წონა დააფინანსა ზურაბ კავაზაშვილმა - კასპელმა ახალ-

გაზრდა ქველმოქმედმა კაცმა).

მძიმე - წონოსანთა შორის (ვინც 80 კილოგრამზე მეტს იწონიდა) ფალავნობა არავის დაანება ქვემოგომელმა გიორგი კაციაშვილმა (კასპის მუნიციპალიტეტი). ამ წარმატებისათვის მან 700 ლარი "გამოიშუშავა", ყოჩივ გაყოლია ლამისყანიდან და, ამასთან, რეკორდსმენიც გახდა სოფლისა: აქ ფალავნობა გიორგიმ 2019 წელსაც მოიპოვა.

\*\*\*

თქვენ "სოფლის ღია პირველობა" ეძახეთ და ლამისყანაში საქართველოს 25-მდე ქალაქისა და სოფლის ახალბედათუ ნაცადმა მოჭიდავეებმა ხელი ხელს რომ დაკრეს ნახერხიან წრეში, ამაზე ზემოთ ხომ ითქვა და მის მონაწილეთა შორის

დავაფიქსირეთ საქვეყნოდ ცნობილი და სახელოვანი ძველი და ახალთაობელი ფალავნებც - ჭიდაობაში საქართველოს აბსოლუტური ფალავნები: აბესალომ წიკლაური (მცხეთა, გაღაგანი) - 1978 წელი;

გიორგი კაციაშვილი (კასპი, ქვემო გომი) - 2016 წელი, პაატა ღვინიაშვილი (ქარელი, რუისი) - 2013 და 2015 წლები.

მათგან პირველი და მესამე ლამისყანაში მწვრთნელების აპლუაში იმყოფებოდნენ, მეორემ კი საჭიდაო ჩონხა კვლავ ინდებურად მოხდენილად შემოიცივა ბეჭებზე და მეტოქეებს, დასტური, ოსტატური გაკვეთილები ჩაუტარა და ყველა ორთაბრძოლა ვადაზე ადრე დაამთავრა.

წლებიდან აღიარებულია 22 ივლისის გაიმართა ოცდახუთი წლის ასაკში ტრაგიკულად დაღუპული კასპელი მოჭიდავის, გიორგი მერეაშვილის (1980-2005) ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური ტურნირი. იგი ყოველწლიურად მის სახელობით დღეს უკავშირდება და ატარებს მუნიციპალური სასპორტო გაერთიანება (დირექტორის მ/შ შოთა გოგიაშვილი). რიგით მე-14 ასპარეზობას ორგანიზება გაუწია სამუშაო ჯგუფმა (იოსებ მაშულაშვილი - შიდა ქართლის

ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, ალექსანდრე ხუციშვილი - კასპის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების მენეჯერი, კახა ხუბაშვილი - მთავარი მსაჯი, დავით გეჯაძე - წევრი). ქვემოთ წარმოგიდგინებთ შეჯიბრების ჭაბუკი მოჭიდავების საუკეთესო სამეულებს: 30 კგ: აჩიკო მიქიაშვილი, გაბრიელ მიქიაშვილი (ორივე ხაშური) და გურამ გურჩიანი (ლაბისყანა); 35: ანდრია მიქიაშვილი (ხაშური), სანდრო მიდელაშვილი (კასპი)



და გიორგი მანჯავიძე (მეტეხი); 40: გოგა ჭიხინაშვილი (ლაბისყანა), ერეკლე მჭედელაძე (სამთავისი) და საბა ბარნოვი (ახალციხე); 45: ლუკა ცხოვრებაშვილი (კას-

პი), თემურ გოგრიჭიანი და ირაკლი რთველაძე (ორივე მეტეხი); 50: მიხეილ ოლოშაშვილი (მეტეხი), არსენა დვალისიშვილი (გორი) და საბა შერმადინი

(თეზი); 55: ლუკა მღებრიშვილი, ალექო ხიზამბარელი და ნიკა თინიკაშვილი (სამივე მეტეხი); 60: მირიან ლურსმანაშვილი (ხაშური), ნიკა თინიკაშვილი (ახალციხე) და

კასპი: "გორკა - 2023"

ნიკა ჩერქეზიშვილი (კასპი); 65: დანი ჯანჯალაშვილი (დოესი), ლუკა გულდელაძე და გიორგი ფავლენიშვილი (ორივე ლამისყანა); 73: გიორგი თაბუაშვილი (მეტეხი), დავით მარიდაშვილი (ქვემო გომი) და გიორგი ლალიაშვილი (მეტეხი), +73 კგ: გიორგი გიორგიშვილი (ხოვლე), გიორგი ბარჯაძე (ხოვლე) და ვალერი მერებაშვილი (მეტეხი). ყველაზე შედეგიანად, როგორც გამარჯვებულ-პრიზიორთა სადაურობიდან

ჩანს, მეტეხელი ჭაბუკები გამოვიდნენ. მათ გადაეცათ ჩვენი გაერთიანების დირექციის თასები, დიპლომები და მედელები. ტურნირის აღრესატის დამ, ქალბატონმა ელისო მერებაშვილმა, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს და ამჟამად კასპში იმყოფებოდა შეუძლებელი ანდრეას ვოლმერთან და ორ ქალიშვილთან ერთად, ჩემპიონებსა და ოჯახის ფავორიტ მოჭიდავეს ფულადი პრიზები გადასცა.

ჩვენი გაერთიანების ახალგაზრდა და ჭაბუკ მოჭიდავეთა საკმაოდ წარმატებულ გუნდს (30-ზე მეტი) 10-დღიანი საწვრთნელ-გამაჯანსაღებელი შეკრება გაიარა ბაკურიანში, საბოლოო ათხელამური

კურორტზე. ესენი ის სპორტსმენები არიან, ვინც მიმდინარე სპორტული სეზონის განმავლობაში შედეგიანად იასპარეზეს საქართველოს მასშტაბით გამართულ შეჯიბრებებსა და ტურნირებში. ამდენად, მათთვის ეს იყო

თავისებური წახალისებისა და დაფასების საშუალება. ესოდენ საჭირო და სასარგებლო ნაბიჯი განხორციელდა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის (უფროსი

თვა ხორბალაძე) ინიციატივით, სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების (დირექტორის მ/შ შოთა გოგიაშვილი) ჩართულობით და, რა თქმაუნდა, თვითონ მუნიციპალური ხელმძღვანელობის (მერი ვახტანგ მაისურაძე,

სანვრითელ-გამაჯანსაღებელი 10-დღიანი შეკრება ბაკურიანში

მოადგილე ზურაბ კობაძე) აქტიური და საქმიანი თანადგომით. მოგეხსენებათ, ბაკურიანი განსაკუთრებით ზამთრის სეზონზე მიმზიდველი და პოპულარული, თუმცა მიმსვლელ-მომსვლელი არც სხვა სეზონებზე აკლია, თუნდაც ზაფხულში. ბაკურიანული დღეები, იქაური კლიმატი თუ საერთო გარემო უბრო გაანახალსებდა და აღაფრთოვანებდა პირებს ქმნის ყველასათვის, მეტადრე სპორტსმენებისათვის,

ახალგაზრდობისათვის. ჩვენს წარმატებულ და პერსპექტიულ ბიჭებს ასეთი შანსი მეორედ მიეცათ (პირველმა ნაკადმა ბაკურიანული შეკრება შარშან გაიარა). ამჯერად მათთან ერთად იმყოფებოდა რამდენიმე მწვრთნელი. ბუნების წიაღში, სუფთა ჰაერზე თუ სასპორტო დარბაზში ყოველდღიურ ინტენსიურ, შერეული სახის ვარჯიშებს ხელმძღვანელობდა და გამოცდილი მწვრთნელი კახა ხუბაშვილი.

"ბაკურიანის შეკრება - 23"-ის მონაწილეები მადლიერების გრძობასა და უდიდეს კმაყოფილებას გამოხატავენ და გამოთქვამენ მისი მოთავე-მომწყობებისა და ხელშემწყობთა მიმართ. ისინი ახლა უკვე საშინაო პირობებში ემზადებიან წლებიდან წლებიდან საშემოდგომო და საზამთრო პერიოდების სპორტული შეჯიბრებებისათვის. სულ ძალე კი, შუა სექტემბერში, სასწავლო წელიც განახლდება.



ქვემოთ მოგიყვებით ამბავს 17 წლის სანდროსი - ხოვლელი ყურაშვილების გვარის ახალთაობელი იმედისა და ნერვისა, საჭიდაო გენის ამფეთქებელი ნიჭისა, ტრიუმფატორისა, რომელმაც ახლახან, სულ ორი დღე თვის ხანგამოშვებით, ჯერ ევროპისა და მერე მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა თავისუფალ ჭიდაობაში. როგორც უწინ, ბრძოლებიდან გამარჯვებით მობრუნებულ ქართველ მოლაშქრეებს ლოცავდნენ ხოლმე გზაშივე, სადღესოდ მნიშვნელოვანი სპორტული შეჯიბრებებიდან სასახელო გამარჯვებებით დაბრუნებულ სპორტსმენებს ეგებებიან ჯერაც


აერობორტებში დიდი ზარ-ზეიმით, მერე კი შინ ლოცავენ და ოცნებების ასრულებას უსურვებენ. აგვისტოს პირველ დეკადაში თბილისში ასე დახვდნენ საქართველოს ჭაბუკი მოჭიდავეების ნაკრების წევრებს, რომლებმაც თურქეთის დედაქალაქში 10 წონითი კატეგორიიდან 7 მედალი მოინადრეს. მათ შორის გახლდათ სანდრო ყურაშვილი, ვინც ქსტამბოლის საჭიდაო ლეიბზე ბღღვირი გააღწია ოთხივე მეტოქეს, 43 ქულით დაასაჩუქრა ისინი, თვითონ კი მხოლოდ 3 დათმო. მაგალითად, მეოთხედფინალში ირანელი ნური ჩამოიშორა გზიდან (11:0), ხოლო საფინალში ორთაბრძოლაში

თვით მასპინძელი გუნდის წევრი, თურქი ჩეთინი აგორავა "მშრალად" (10:0). აი, როგორია ჭაბუკის აღმასვლის ნაბიჯები: 2021 წელი - ქ. კლუჯი (რუმინეთი), საერთაშორისო ტურნირი 15-წლიანთა შორის, II ადგილი (75 კგ.); 2022 - ქ. ბუქარესტი (რუმინეთი), ევროპის ჩემპიონატი 17-წლიანებში, III ადგილი (80 კგ.); 2023 წელი - ქ. ტირანა (ალბანეთი), ევროპის ჩემპიონატი, I ადგილი (92 კგ.), ქ. სტამბოლი (თურქეთი), მსოფლიო ჩემპიონატი, I ადგილი (92 კგ.). წლის დასაწყისში მან, ასევე, გაიმარჯვა ანტალიის (თურქეთი) დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც ევროპელთა გარდა

აზიელი "ლომებიც" გამოდიოდნენ და ქართველებს "ოქრო" ვერ აედოთ ბოლო 15 წლის მანძილზე. სანდრო საჭიდაო ოლიმპიკენ მიმავალ გზაზე ოცნებობს. ახლა სოფელ დიდმის საჯარო სკოლის მე-12 კლასის წარჩინებული მოსწავლეა და სამომავლოდ სპორტული მედიცინის სფეროში უმიზნებს. არც ოლიმპიური თამაშებია უტოპიური მიზანი, "პარიზი - 2024" რაღას მოესწრება და შემდგომს რაღა და ვინდა დაუდგება წინ! მამას, ხეიფა ყურაშვილს, ახალგაზრდობაში სპორტის ვარსკვლავობაზე მეოცნებეს, სურს, ახლა მისუფი ჩანაფიქრი ვაჟიშვილმა განახორციელოს, ამიტომაც სოფელ-

ქალაქის გზაზე გამოკრული და მემკვიდრე დედაქალაქში ასწავლის და ავარჯიშებს. იქ, დიდმის საჭიდაო სკოლაში, სანდროს პატარაობიდანვე მეურვეობდა ოჯახის ახლობელი მწვრთნელი ვაჟა კოტორაშვილი, შემდეგ მისი ვაჟიშვილი - ვასილი, ამჟამად კი გოგა ხუჭუა არის ხელდამსხმელი ტრიუმფატორი შეგიდისა, რომელსაც ყველა შეჯიბრების შემდეგ შეუძლია, რიხიანად განაცხადოს: "მევედი, დაეკვიდე, გაემარჯვე!" ... წლებიდან აღიარებულია 22 ივლისის გაიმართა ოცდახუთი წლის ასაკში ტრაგიკულად დაღუპული კასპელი მოჭიდავის, გიორგი მერეაშვილის (1980-2005) ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური ტურნირი. იგი ყოველწლიურად მის სახელობით დღეს უკავშირდება და ატარებს მუნიციპალური სასპორტო გაერთიანების მენეჯერი, კახა ხუბაშვილი - მთავარი მსაჯი, დავით გეჯაძე - წევრი). ქვემოთ წარმოგიდგინებთ შეჯიბრების ჭაბუკი მოჭიდავების საუკეთესო სამეულებს: 30 კგ: აჩიკო მიქიაშვილი, გაბრიელ მიქიაშვილი (ორივე ხაშური) და გურამ გურჩიანი (ლაბისყანა); 35: ანდრია მიქიაშვილი (ხაშური), სანდრო მიდელაშვილი (კასპი)

რაზე ოხნებობს ტრიუმფატორი?



ბოში ხოვლელი მსოფლიო ჩემპიონები შალვა პაპინაშვილი და მამუკა ჯანანაშვილი, ახალქალაქელი ბადრი ჯანიაშვილი და სხვები (ეგ იყო, მხოლოდ თანასოფელი ვეტერანთა შორის მსოფლიო მრავალჯონ ჩემპიონები ოთარ და უშანგი ყურაშვილები აკლდათ). ჰოდა, აბა, ასეთი

საჩემპიონო სუფრავის მონაწილნი და, თამადა სუფრისა პირველ რიგში, ოქრო - სანდროს როგორ არ დაულოცავდნენ საოლიმპიადო მწვერვალამდე აღმავალ გზა-სავალს?! ხან დროსაც უნდა ვესწრაფოთ და გავუსწროთ! ახლა, დასტურ, ყურაშვილი სანდროს დრო!

